ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №1017

25 ნოემბერი 2016 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და სარგებლობის უფლებით (იჯარა) გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669-ე დადგენილების მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 12 ივლისის №1145 ბრძანებით განსაზღვრული, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების საუქციონოდ მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 08 ნოემბრის №11082-02 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა, დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარა) გასაცემი ობიექტების ნუსხა, დანართი №2-ის შესაბამისად.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით მაღლაკელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

	დანართი №2				
ლოტ #	**სარგებლობის უფლებით გასაცემი ობიექტის დასახელება / დანიშნულება**	**ფუნქციური ზონები**	**ს/კოდი**	**მდებარეობა / მისამართი**	**ფართობი (კვ.მ.)**
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სზ-5; tz-1	02.02.04.239	ქალაქი რუსთავი , მიკრო/რაიონი XII , მიმდებარე ტერიტორია	150-კვ.მ.-დან 75 კვ.მ.
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ტზ-1	02.04.02.592	ქალაქი რუსთავი , ქუჩა მესხიშვილის , მიმდებარე ტერიტორია	12 კვ.მ.
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ტზ-1	02.04.03.600	ქალაქი რუსთავი , გამზირი მეგობრობა , სახლი N12-ის მიმდებარედ	23 კვ.მ.